სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს
გადაწყვეტილება # 534
(ოქმი # 468

თბილისი 2022 წლის 9 ივნისი

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 24(9) მუხლის თანახმად,

1. 2022 წლის 01 ივლისიდან გაუქმდეს საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს 27.12.2021წ. №520 გადაწყვეტილებით დამტკიცებული სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარის, მისი მოადგილისა და მეურვეების ჰონორარების განსაზღვრის წესი.
2. ცვლილება შევიდეს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს 2019 წლის 27 დეკემბრის №465 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სამეურვეო საბჭოს რეგლამენტში და რეგლამენტის მე-II ნაწილს დაემატოს შემდეგი შინაარსის 2.6. პუნქტი:

„2.6. სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარის, მისი მოადგილისა და მეურვეების ჰონორარების ოდენობა. სამეურვეო საბჭოს სამივლინებო ხარჯები.

2.6.1. სამეურვეო საქმიანობის განხორციელებისთვის მეურვეს ეძლევა ჰონორარი და აუნაზღაურდება ამ კანონით განსაზღვრული ფუნქციების შესრულების ხარჯები.

2.6.2. მეურვის ჰონორარისა და „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით და წინამდებარე რეგლამენტით განსაზღვრული ფუნქციების შესასრულებლად საჭირო ხარჯების ოდენობებს განსაზღვრავს სამეურვეო საბჭო საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტის 1,5%-ის ფარგლებში. ჰონორარისათვის გამოყოფილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს ბიუჯეტის 1%-ს.

2.6.3. სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარის ჰონორარის ოდენობა ფიქსირებულია და შეადგენს თვეში - 8 817 (რვა ათას რვაასჩვიდმეტი) ლარს (დარიცხული), სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ჰონორარის ოდენობა ფიქსირებულია და შეადგენს თვეში - 6 798 (ექვსი ათას შვიდასოთხმოცდათვრამეტი) ლარს (დარიოცხული), მეურვის ჰონორარის ოდენობა ფიქსირებულია და შეადგენს თვეში - 6 085 (ექვსი ათას ოთხმოცდახუთი) ლარს (დარიცხული).

2.6.4. სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარის, მისი მოადგილის და მეურვეების ჰონორარებისთვის საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტში განსაზღვრული ბიუჯეტის 1% პროცენტის ფარგლებში კალენდარული წლის ბოლოსთვის დარჩენილი ნაშთი - 12 თვის ჰონორარების გადახდის შემდეგ დარჩენილი თანხა, მიემართოს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ კაპიტალური ხარჯების დაფინანსების მიზნით, კერძოდ, მაუწყებლის ტექნიკური გადაიარაღების და ახალი შენობის მშენებლობის დაფინანსების მიზნით სს „თიბისი ბანკიდან“ 45 000 000 (ორმოცდახუთი მილიონი) ლარის (ან მისი ექვივალენტი ნებისმიერ ვალუტაში) ოდენობით აღებული სესხის დასაფარად.

2.6.5. სამეურვეო საბჭოს მიერ თავისი ფუნქციების შესასრულებლად საჭირო მივლინების (საქართველოს ფარგლებში ან/და საქართველოს ფარგლებს გარეთ) შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სამეურვეო საბჭო ღია სხდომაზე „მაუწყებლობის შესახებ“

საქართველოს კანონით და წინამდებარე რეგლამენტით გათვალისწინებული წესით, მივლინების ინიციატორი საბჭოს წევრ(-ებ)ის შესაბამისად დასაბუთებული წარდგინების საფუძველზე.“.

3. წინამდებარე გადაწყვეტილების მე-2 პუქნტით გათვალისწინებული ცვლილება ძალაში შევიდეს 2022 წლის 01 ივლისიდან.

სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე:

ვასილ მაღლაფერიძე

სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე:

მიხეილ ჩიკვილაძე

სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს წევრები:

ბესიკ ლილუაშვილი

ლაშა ტუღუში

იზაბელა ოსიპოვა

ზაზა აბაშიძე

გრიგოლ მურღულია

ლიკა ბასილაია-შავგულიძე

ბონდო მძინარაშვილი